24 МА პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროლეტарии всех стран, соединяйтесь!

# მებრძოლი გუშაგი / Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 24 მარტი, 1990 წელი ● № 13 (2890) ● СУББОТА, 24 МАРТА 1990 г.

## ერთობლივად გადავწყვეტთ

**გასაოცარ** და რთულ დროში ვცხოვრობთ. უნიკალური ფაქტების მოწმენი ვხდებით. მოვლენები უსწრაფესად ვითარდებიან. დემოკრატიზაციის პირობებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ძალთა აშკარა ჭიდილი პოლიტიკურ, ეროვნულ, პარტიულ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებში — იქნება ეს სსრკ-ის მმართველობაში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების თუ მისი მიუღებლობის აზრთა შეჯახება და **პირველი საბჭოთა პრეზიდენტის არჩევა; ლიტვის თუ** საქართველოს მიერ მათი ანექსიის ოფიციალურად ცნობა და დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა; კომპარტიის, თუ კომკავშირის ავტორიტეტის დაცემა, სსრკ-ის კონსტიტუციის მეექვსე მუხლის შეცვლა და მრავალპარტიულობის აღიარება თუ მიმდინარე სხვა არაორდინალური პროცესები.

ქვემოთ შევეხებით სწორედ ამ მოვლენებთან დაკავშირებულ, ვფიქრობთ არც თუ უმნიშვნელო საკითხებს — **ჩვენი გაზეთის ორენოვანებას, სახელწოდებას და დევიზს,** რომლებიც მკითხველთა მიერ სწორედ დღევანდელობიდან გამომდინარე არის დასმული. ამიტომ რედაქციის კოლექტივს შეუძლებლად მიაჩნია მათი გაუთვალისწინებლობა შემდგომ მუშაობაში და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნული საკითხების გამოტანას მკითხველთა სამსჯავროზე:

**პირველი: — გაზეთის ორენოვნების პრობლემა** დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. ბოლო დროს ეს საკითხი დაისვა საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო **პროგრამა „მოამბის" სიუჟეტში** „ენა დედაა ერისა" და ჩვენი გაზეთის მკითხველთა (მაგ.: შ. ზაქარიაძე — კასპის რაიონიდან, შ. აბულაძე — დაბა ადიგენიდან და სხვათა) წერილებში ტელეფონით თუ პირადი **საუბრების დროს.** გვთავაზობენ — გაზეთში მეტი ადგილი დაეთმოს ქართულენოვან მასალებს, აგრეთვე პირველ ორ (ან პირველ და მესამე) გვერდებზე მასალები ქართულ, ხოლო დანარჩენ ორ **გვერდზე (ან სულაც ერთზე) რუსულ ენაზე** დაიბეჭდოს.

ჩვენ სხვა წინადადება გვაქვს — **გაზეთის ყოველი ნომერი მთლიანად გამოიცეს ქართულ ენაზე და მისი იდენტური გამოცემა რუსულ ენაზე** (ასეთი პრაქტიკა ადრეც იყო). ამით ვფიქრობთ გაზეთიც გაზეთს დაემსგავსება და რაც მთავარია ქართულ ენაზე მკითხველნი, ისევე როგორც რუსულენოვანის, უფრო მეტ მასალებს გაეცნობიან, რამეთუ ენობრივი ბარიერი მოეხსნებათ, მთელი რიგი მასალები მათი თვალთახედვის მიღმა აღარ დარჩება და ნომერს მთლიანობაში აღიქვამენ. ზედმეტი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით, რომ იდენტური გაზეთის ორ ენაზე ცალ-ცალკე გამოცემა რედაქციის კოლექტივს თითქმის ორმაგებს დატვირთვას, მაგრამ იგი თანახმაა ამაზე რადგანაც ეს მკითხველთა სურვილია. ამასთან ეს იქნება ამ დღეებში გამართული საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის პირველ ყრილობაზე, ორენოვანი გაზეთების შესახებ დასმული საკითხის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელება. **მაგრამ წინ გვეღობება პრობლემა — სტამბა** (საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობაში) სადაც ხელშეკრულებით იბეჭდება „მებრძოლი გუშაგი" (რისთვისაც, როგორც თვითდაფინანსებაზე მყოფი გაზეთი ვურიცხავთ საკმაო თანხას, რომელიც იდენტური გაზეთის გამოცემის შემთხვევაში ორჯერ გაიზრდება) და რომელიც განიცდის გაზეთის დასაკაბადონებელი (ანუ ასაწყობი) დაზგების და რაც მთავარია დამკაბადონებელი სპეციალისტების ნაკლებობას, ხოლო ჩვენ იდენტური ნომრების გამოცემის შემთხვევაში — თითოს მაგივრად უკვე ორ-ორი დაზგა და დამკაბადონებელი დაგვჭირდება( ლინოტიპზე რომ აღარაფერი ვთქვათ). **და აქ დახმარებას მოველით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისგან, რომელსაც მივმართავთ შესაბამისი წერილობითი თხოვნით — დაგვეხმაროს საკითხის სათანადო ინსტანციებში დაყენებისა და მის რეალურად გადაწყვეტაში** (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საბეჭდი ქაღალდის ხარჯვა, რომლის ნაკლებობა ასე მწვავედ იგრძნობა — არ მატულობს). ამის შემდეგ ეს საკითხი ყოველგვარი სხვა წინაღობების გარეშე ადგილიდან დაიძვრება და ჩვენ 1991 წელს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოსაწერ კატალოგში, რომელიც უკვე მზადდება შეგვეძლება გამოვაცხადოთ ორი ინდექსი — ერთი ქართული, ხოლო მეორე რუსული გამოცემისათვის, მაგრამ ვიმეორებთ, რომ მანამდე უნდა იქნას მიღწეული სტამბის თანხმობა (ხელშეკრულება), რათა შემდგომში არ მოხდეს გაუგებრობა და არ ვუღალატოთ ხელისმომწერით.

**მეორე: — გაზეთის სახელწოდება „მებრძოლი გუშაგი"** შეიძლება ტრადიციულად კი იქცა, იმდენად შევეჩვიეთ მას, მაგრამ ზოგიერთი მკითხველი აყენებს წინადადებას — რათა იგი უფრო ეროვნული და **სპეციფიური გახდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ წა**რმოადგენს აუცილებლობას, მაგრამ აქაც გათვალისწინებული იქნება მკითხველთა აზრი, მაგალითად სახელწოდებად გვთავაზობენ — „კანონიერების სადარაჯოზე" ან „სამართლის სადარაჯოზე" და სხვა. ვფიქრობთ იქნება სხვა წინადადებებიც...

**მესამე: — გაზეთის დევიზად ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"**, რომელიც პირველად 1847 წელს (ანუ 143 წლის წინ) გამოითქვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" და რომელიც უკლებლივ ყველა საბჭოური გამოცემისათვის სავალდებულო კომპონენტი იყო დღემდე.

აქ გვინდა მოვიყვანოთ ნაწყვეტი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ შ. ნოზაძის წერილიდან „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!," რომელიც რუბრიკით — თვალსაზრისი — მან გამოაქვეყანა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" (№);

..„ოციანი წლების დასაწყისში ამ დევიზით იწყეს გამოსვლები პარტიულმა, კომკავშირულმა, აგრეთვე სახელმწიფო და პროფკავშირულმა გაზეთებმა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში, მათ შორის საქართველოში. აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში საკითხს თვით რედაქციები წყვეტდნენ. მაგალითად, გაზეთ „იზვესტიაში" ეს დევიზი 1922 წლის იანვარში გამოჩნდა, მანამდე კი იგი უდევიზოდ გამოდიოდა. გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" მკითხველი ამ დევიზით 1924 წლიდან იღებდა, 1941 წლის 11 დეკემბრიდან დევიზი შეიცვალა „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს"!, ხოლო გამარჯვების შემდეგ, 1945 წლის ივნისში ჩნდება ახალი დევიზი „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის". ამ დევიზით გამოდიან ახლაც „კრასნაია ზვეზდა" და სხვა სამხედრო და საზღვაო გაზეთები.

როგორც პარტიულ, ისე დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებს დღემდე კვლავ აქვთ ტრადიციული ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" რაც, როგორც ამის შესახებ სრულიად სამართლიანად აღნიშნა გასულ წელს გაზეთში „არგუმენტი ი ფაქტი" პროფესორმა ი. კრივოგუზმა (მოსკოვი), აღარ შეესაბამება დღევანდელ დღეს და გამოხატავს მხოლოდ ინერციას.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება რედაქციებმა იფიქრონ ამ საკითხზე. დევიზი კონკრეტულად უნდა შეესაბამებოდეს გაზეთის მიმართულებას, თანამედროვე ეტაპზე როგორც ეროვნულ, ისე უმთავრეს საერთო-საკაცობრიო ამოცანებს, რაც უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის შენარჩუნებასა და ხალხთან თანამშრომლობის განმტკიცებას გულისხმობს".

**დღეს** მთელ რიგ გამოცემებს მოეხსნათ (მაგ. გაზეთებს „სახალხო განათლებას" საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გაზეთი, „მოლოდიოჟ გრუზიი", საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო, ასევე ამავე კომიტეტის ორგანოს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს", საქ. კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ორგანო გაზეთ „ქუთაისს", ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლს", დმანისის რაიონულ გაზეთ „თრიალეთს".) ან შეეცვალათ ის, თანამედროვე, კონკრეტულად მათთვის უფრო ახლობელი დევიზით. (საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო „ლიტერატურულ საქართველოს" — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა", საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გაზეთ „სოფლის ცხოვრებას" — „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები", საქ. ალკკ ცკ-სა და ვ. ი. ლენინის სახ. პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო „ნორჩ ლენინელს", — „სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა", საქ. კპ-ის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საღამოს გაზეთ „თბილისს" — „მამულს გული უპირველეს ყოვლისა", მთელი რიგი რაიონების პარტიულ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს: გურჯაანის რაიონულ გაზეთ „გურჯაანს" — „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა", საჩხერის რაიონულ გაზეთ „მოდინახეს" — „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო", საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადს" — „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები").

ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებლადაა მიჩნეული ჩვენი გაზეთის დღევანდელი დევიზის შეცვლაც, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის, მისი როლის და პირდაპირი ფუნქციის გამომხატველი უფრო სპეციფიკური მოწოდებით, მაგალითად როგორიცაა: „მე მიცავს ჩემი მილიცია", „კანონის უზენაესობა", და მისთანანი, რამეთუ ფორმისა და შინაარსის შერწყმა, მათი ერთიანობა ყოველთვის სასურველია. ვფიქრობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ამ საკითხთან დაკავშირებით ექნებათ კონკრეტული წინადადებები.

პატივცემულო მკითხველო — გთხოვთ ირწმუნოთ რედაქციის ჭეშმარიტი წადილი, დასმული საკითხების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტის თაობაზე და ოპერატიულად გამოგვეხმაუროთ, მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებანი ზემოაღნიშნული საკითხების თაობაზე. სწორედ ისინი დაედება საბოლოო ჯამში საფუძვლად ჩვენს გადაწყვეტილებებს.

## დედის დღე



ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისა და პროფსაბჭოს ინიციატივით დაწესდა დედის დღე, რომლისადმი მიძღვნილ პირველსავე შაბათობაში სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს შს სამინისტროს თანამშრომლებმაც, როგორც შესაბამისი სამსახურებიდან შეგვატყობინეს ამ დღის ფონდში გადარიცხეს: გამასწორებელ საქმეთა სამმართველომ — 4000 მანეთი, კავშირგაბმულობის სახელოსნოებმა — 1400 მანეთამდე, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ — 800 მანეთი, ავტოსახელოსნოებმა — 384 მანეთი, სამინისტროს სამეურნეო განყოფილების ტიპოგრაფიამ — 200 მანეთი, საყოფაცხოვრებო სახელოსნოებმა — 90 მანეთი.

ამ დღის ფონდში № 000700257 ანგარიშზე შს სამინისტროს სხვა სამსახურებიც გადარიცხავენ გამომუშავებულ თანხას.

## ЗАКОН
## ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ
### О ВНЕСЕНИИ ИЗМЕНЕНИЙ В КОНСТИТУЦИЮ (ОСНОВНОЙ ЗАКОН) ГРУЗИНСКОЙ ССР

**В ЦЕЛЯХ** углубления происходящих в республике политических преобразований, укрепления прав и свобод граждан, Верховный Совет Грузинской Советской Социалистической Республики постановляет:

Статьи 6, 7 и 49 Конституции (Основного закона) Грузинской ССР изложить в следующей редакции:

«**Статья 6.** Коммунистическая партия Грузии, другие политические партии, а также профсоюзные, молодежные, иные общественные организации и массовые движения через своих представителей, избранных в Советы народных депутатов, и в других формах участвуют на равных основаниях в выработке политики государства, в управлении государственными и общественными делами».

«**Статья 7.** Все политические партии, общественные организации и массовые движения, выполняя функции, предусмотренные их программами и уставами, действуют в рамках Конституции и законов Грузинской ССР.

Не допускаются создание и деятельность партий, организаций и движений, имеющих целью насильственное изменение конституционного строя и целостности республики, подрыв её безопасности, разжигание национальной и религиозной розни».

«**Статья 49.** Граждане Грузинской ССР имеют право объединяться в политические партии, общественные организации, участвовать в массовых движениях, которые способствуют развитию политической активности и самодеятельности, удовлетворению их многообразных интересов.

Общественным организациям гарантируются условия для успешного выполнения своих уставных задач».

Председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР
**Г. ГУМБАРИДЗЕ.**

Секретарь Президиума Верховного Совета Грузинской ССР
**В. КВАРАЦХЕЛИЯ.**

Тбилиси. 20 марта 1990 года.

**დღევანდელობამ** უამრავი პრობლემა რომ წამოჭრა ჩვენს წინაშე გადასაჭრელად — უდაოა. ისიც არაა საკამათო, რომ ბევრ მათგანს ახლებური გააზრება, განსჯა და გადაწყვეტა სჭირდება. ძნელია ამ პრობლემებს შორის პრიორიტეტი რომელიმეს მიანიჭო, მაგრამ ჩვენი გულისყური ვფიქრობ უწინარესად მიპყრობილი უნდა იყოს იქითკენ, სადაც ადამიანზე, მის უფლებებზე, ინტერესების დაცვაზეა საუბარი.

ძნელია წინასწარ განსაჯო ვის რა ელოდება მომავალში. ამბობენ ადამიანის ბედი წინასწარ არის განსაზღვრულიო, მაგრამ ეს ალბათ განგების საქმეა, ხოლო დღევანდელ სინამდვილეში წუთისოფელი ზოგისთვის რომ დედაა და ზოგისთვის დედინაცვალი, აშკარაა, ზოგჯერ ჩვენივე განუკითხაობით ვკარგავთ ადამიანებს, ზოგჯერაც თავად დგამენ დაუფიქრებელ ნაბიჯს და ასე დამცავი ორგანოების ინიციატივით. რამდენი სატკივარი დაგროვებიათ ამ ადამიანებს, მაგრამ თავყრილობა, მხოლოდ ალსარების მოსასმენად როდი იყო მოწვეული. შეიქმნა სასჯელმოხდილთა უფლებების დაცვის საბჭო, რომელიც უახლოეს პერიოდში გახდება იურიდიული პირი და რომელიც დღეიდან უშუალოდ იზრუნებს ცხოვრებისაგან ბედგაუკუღმართებულ ადამიანთა მომავალზე. მოდით თვალებში შევხედოთ ერთმანეთს და ვაღიაროთ, რამდენი შეგვიცოდავს ამ ადამიანების წინაშე თუნდაც მაშინ, როცა სამუშაოზე მისაღებად უარი გვითქვამს მათთვის მხოლოდ იმ მოტივით, რომ ნასამართლევი იყო, უფრო მეტიც, დაგვისჯია მათი შვილები, შვილიშვილები. ახლობლები, უდიდესი ტკივილი მიგვიყენებია მათთვის, არადა ერთხელ ღმერთიც შემცდარა თურმე....

სწორედ სასჯელმოხდილთა უფლებების დაცვა აქვს შეტანილი). — ადამიანმა არ უნდა აგოს პასუხი მისი წინამორბედის დანაშაულზე. ადამიანები ვალდებული არიან ერთმანეთს დაეხმარონ, თანაუგრძნონ, ეს ხომ ჭეშმარიტი ქართველობაა, რომელიც განუყოფელია ქრისტიანობისაგან. დღევანდელი შეხვედრით ჩვენ რწმენა უნდა ჩავუნერგოთ, სიხარული უნდა ვაჩუქოთ ერთმანეთს.

თანდათან სასჯელმოხდილებიც ერთვებიან საუბარში. უჭირთ, მძიმეა, მაგრამ უფრო მძიმეა უფლებააყრილი დადიოდე, ამიტომ...

**ზ. ბ.** 28 წელი გავატარე ციხეში. სამუშაოზე არავინ მღებულობდა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. მილიცია ჩაერია და მეიმედება ჩვენი უფლებების საბჭო რომ შეიქმნება.

**ჯ. წ.** — 18 წელი ვიჯექი, რომ დავბრუნდი არაფერი დამხვედრია არც სახლი, არც კარი, მინდა პატარა კერა შევქმნა. კოლმეურნეობას ვთხოვე მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მაგრამ დღემდე არაფერი გადაწყვეტილა, მომავალი საბჭო ალბათ ამდაგვარ პრობლემებსაც გადაჭრის ჩვენდა სასარგებლოდ.

# ...საქმეც ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია

ათასობით ადამიანი დღეს განსასჯელის სკამზეა მოხვედრილი, ათასობით ოჯახია დანგრეული, ბავშვები უდედმამოდ დარჩენილი, მოხუცი მშობლები უნუგეშო მდგომარეობაში.

რისთვის და რატომ დაისაჯა ოდესღაც მავანი და მავანი ეს დღევანდელი ჩვენი საუბრის თემა არ გახლავთ, ხოლო როგორ, რა პირობებში უხდებათ სასჯელმოხდილებს ცხოვრება, დღემდე პრობლემად რჩება.

...დამამცირებელი მზერა, ეჭვის თვალით ყურება, ყველასგან ყველაფერზე უარის თქმა, მეგობრისგან, მეზობლისგან, ნათესავისგან და რაც ყველაზე დამამძიმებელია საზოგადოებისგან ზურგშექცევა, უნდობლობა — აი, მათი ხვედრი სასჯელის მოხდის შემდეგ. არადა ამ ადამიანებს ისეთივე უფლება აქვთ იცხოვრონ თავისუფლად, ილვაწონ შეძლებისდაგვარად, როგორც თითოეულ ჩვენგანს, მათ ხომ თავიანთი დანაშაულისათვის მოიხადეს სასჯელი და ავად თუ კარგად პირნათელი არიან ჩვენს წინაშე. ნუთუ ისევ ჩვენივე გულგრილობა, განუკითხაობა უნდა გახდეს მათი მორიგი დანაშაულის მიზეზი? როგორ გვიყვარს ლამაზი და მაღალფარდოვანი სიტყვების წრმოთქმა მაღალი ტრიბუნიდან: „ადამიანი დამნაშავედ არ იბადება“, „ჩვენ არ უნდა მივცეთ უფლება“, „ყოველი ქართველი ძვირად გვიღირს“, „სად იყო საზოგადოება“, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში სრულიად სხვაგვარად ვიქცევით თურმე. ამაში დამარწმუნა ამასწინათ ქ. გორში ყოფილ სასჯელმოხდილებთან შეხვედრამ, რომელიც მოეწყო ადგილობრივი პარტიული, ადმინისტრაციული და სამართალ-

დღეს, როცა ასე ძვირად გვიღირს თითოეული ქართველი, სწორედ რომ დროულად მიმაჩნია გორელთა ეს შესანიშნავი წამოწყება, რომელსაც მხარი უნდა აუბას ჩვენი რესპუბლიკის სხვა რეგიონის წარმომადგენლებმაც.

...თავდაპირველად ყველას უჭირდა სიტყვის თქმა. ძნელია — კიდევ ერთხელ, დიდი ტკივილის ფასად გაიხსენო შენი ცხოვრების განვლილი გზა, მაგრამ ყოველივე ეს გათვალისწინებული იყო შეხვედრის დაწყებამდე და ამიტომ პირველი სიტყვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა აიღეს, მათ, ვისგანაც განსჯილა ამ ასობით ადამიანის ბედი და ვისგანაც უნდა განისაჯოს მათი ხვალინდელი დღე.

**უ. მზელაძე — გორის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.** — თქვენი წარსული არ უნდა იყოს თქვენი მომავლის შემფასებელი, მთავარია ვინ როგორ შეიგნო მომხდარი, როგორი შეფასება მისცა წარსულს, თორემ დანაშაული და სასჯელი ყოველთვის იარსებებს ჩვენს ირგვლივ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თითოეული თქვენგანი ჩაებას შრომით საქმიანობაში, იყოს დღევანდელობის აქტიური წევრი. ჩვენ არცერთს არ უნდა შეგვეშალოს შემდგომი ურთიერთობა, უნდა ვიყოთ ერთად, ერთმანეთის გვერდით. დღეს შექმნილ საბჭოს დიდი ამოცანები და პრობლემები აქვს გადასაჭრელი, რასაც აქვს საერთო, სახალხო საკაცობრიო და ადამიანური მნიშვნელობა...

**ა. კავსაძე — გორის კპ ქალაქკომის პირველი მდივანი** (სხვათა შორის ბატონი სანდრო საქ. უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატადაა დასახელებული და თავის სადეპუტატო პროგრამაში ერთ-ერთ საკითხად

ერთს მეორე ცვლის, მეორეს მესამე, მეხუთე, მეათე, ყველა, ვისაც გამბედაობა ყოფნის, ვისაც იმედი ესახება საბჭოს შექმნით, თუმცა მათ გვერდით ხელჩაქნეულებიც არიან არავისი და არაფრის რომ არ სჯერათ ქვეყანაზე.

ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს. ბევრი ტკივილი და დარდი დარჩა მოსაგვარებელი. ალბათ მომავალში საბჭომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ ადამიანებში რწმენის ალსადგენად. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ ძირითადად სასჯელმოხდილები, ხალხის მიერ არჩეულები, პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

ბოლოს ჟურნალისტმა მ. ოქროპირიძემ წაიკითხა სასჯელმოხდილთა მიმართვის ტექსტი რესპუბლიკის სასჯელმოხდილებისადმი. ქალბატონი მაყვალა კარგა ხანია დაინტერესებულია ამ პრობლემით ქართლის რეგიონში, დღეს კონკრეტული ნაბიჯები უკვე სახეზეა. შედეგებს მომავალი გვიჩვენებს. ალბათ მართლაც ყველაზე დიდი ვაჟკაცობა ისაა, რომ ყველაზე მეტად გიყვარდეს ბედისგან დაჩაგრული ადამიანი, დიდ მამულიშვილობადაც ის მიმაჩნია ასეთ ადამიანს გაუკვალო ცხოვრების გზა და აღუდგინო ოდესღაც ისევ ადამიანებისაგან დაკარგული რწმენა, რწმენა არსებობისა, ბრძოლისა და გამარჯვებისა.

**მ. მოსიძე.**

# „კონცეფცია შემუშავების სტადიაშია“...

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე XIV სესიამ შეიტანა რა რესპუბლიკის კონსტიტუციაში, კერძოდ კი მის მე-6, მე-7 და 49-ე მუხლებში ცვლილებები, ამით კანონიერი საფუძველი მისცა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების მრავალპარტიულ სისტემას. ამ გარემოებამ ბუნებრივია დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის სამართალდამცველ ორგანოებში პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ფორმირებების საქმიანობის რეგლამენტაციის საკითხი. სწორედ ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა კ. ანდრიაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა შს სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს ბ. ცაგარეიშვილს.**

**— თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ა. წ. 17 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორები, მათ შორის ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გია გულუა, მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოების ყველა მუშაკს მხარი დაუჭირონ აღნიშნული ორგანოების დეპოლიტიზაციას. რა აზრის ხართ თქვენ ამ პუბლიკაციის თაობაზე?**

— რაც შეეხება დეპოლიტიზაციას იგი ლოგიკურად გამომდინარეობს თვით მრავალპარტიულობის პრინციპიდან, რადგანაც ჩვენ ვერ დავუშვებთ თანამშრომლების დაყოფას სხვადასხვა პარტიების პლატფორმების ინტერესებიდან გამომდინარე. კრიტერიუმი ერთია — შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელი უნდა ემსახუროს მხოლოდ კანონს.

არასწორია თვით ფორმა, რომელსაც მიმართა გ. გულუამ. პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სხვადასხვა სახის იოლი პოპულარობის მოხვეჭის მოყვარულნი ცდილობენ ავტორიტეტი მოიპოვონ დღის წესრიგში მდგარი, მომწიფებული საკითხის საკუთარ პოზიციად გასაღების გზით. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და უზენაესი საბჭოს დონეზე და ამის შესახებ გულუასათვის, როგორც კომპარტიის წევრისა და საქართველოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი. ამიტომ პირადი შემადგენლობის მიმართვის მიერ გამოყენებულ ფორმას შეუძლია გამოიწვიოს თანამშრომლებს შორის ზედმეტი აჟიოტაჟი, მათი დეზორიენტაცია და აქედან გამომდინარე ხელი შეუშალოს მისივე სიტყვებით — „კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვას მათ ყოველდღიურ საქმიანობაში“.

დღესდღეობით შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის ხერხემალს, მის ყველაზე უფრო ორგანიზებულ და მომზადებულ ნაწილს კომუნისტები წარმოადგენენ. ამიტომ პირველ რიგში ჩვენ მათ დავეყრდნობით.

**— როგორი იქნება ახალ ვითარებაში პოლიტიკური ორგანოების საქმიანობის ფორმები. გაზეთ „იზვესტიას“ ა. წ. 21 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ გადაწყვეტილება მათი რეორგანიზაციის შესახებ უკვე მიღებულია.**

— ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ჩვენ მივიღეთ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტსამმართველოდან, ცნობა პოლიტორგანოების გარდაქმნის შესახებ — სოციალური დაცვისა და აღზრდის სამსახურად, როგორც მომხდარი ფაქტი, — სინამდვილეს არ შეეფერება.

საბჭოთა კავშირის შს სამინისტროს კოლეგიის ა. წ. 10 თებერვლის დავალებით პოლიტორგანოების საქმიანობის ახალი კონცეფცია შემუშავების სტადიაშია და ჯერჯერობით ამ საკითხის ირგვლივ არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

გარდა ამისა, წერილში კორესპონდენტის ინიციატივით ჩამოყალიბებულია რამდენიმე პოზიცია, რომლებიც ამახინჯებენ პოლიტორგანოების მუშაობის არსს. ამასთან დაკავშირებით მე მინდა დავადასტურო, რომ პოლიტმუშაკების საქმიანობაზე ისევ ვრცელდება ყველა დებულება და ბრძანება, რომლებიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ შს სამინისტროს მიერ. უფრო მეტიც — რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია მაქსიმალურად გავაძლიეროთ მუშაობა პირად შემადგენლობასთან მათი მობილიზების მიზნით საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და კანონიერების დაცვისათვის.

# ЦЕЛЬ—АВТОМАТИЗАЦИЯ ПРОЦЕССОВ УПРАВЛЕНИЯ

**Внедрение и использование вычислительной техники позволяет существенно повысить эффективность деятельности органов внутренних дел. С сентября прошлого года в УПО МВД ГССР начало функционировать новое подразделение — центр автоматизированной связи и оперативного управления пожарной охраны республики.**

**ОСНОВНЫМИ** задачами подразделения являются автоматизация службы «01», т. е. прием и обработка сообщений о пожаре, высылка пожарной техники и управление пожаротушением с использованием возможностей вычислительной техники, а также автоматизация управленческой деятельности органов Госпожнадзора, других служб и подразделений пожарной охраны.

В настоящее время на базе типового штаба подразделения создана инициативная группа, возглавляемая заместителем начальника центра подполковником в/с Л. Вишневским. При активной поддержке руководства управления пересмотрены некоторые аспекты технического обеспечения центра. Его решено оснастить персональными компьютерами, что значительно удешевит проектную стоимость центра, упростит его формирование и дальнейшее обслуживание техники, даст значительный эффект и оперативность в решении поставленных задач управления.

Сейчас центр оснащен двумя персональными компьютерами, за короткий срок машины загружены работой. Решение задач обработки статистики пожаров и учета пожарной техники осуществляется начальником отделения алгоритмизации и программирования майором в/с А. Егоровым и молодым сотрудником центра В. Смоляром. Благодаря их усилиям уже с января нынешнего года подготавливаются ежедельные и ежемесячные сводки, в которых отражаются объекты пожаров, суммы убытков, количество сгоревших домов, данные о пожарах по министерствам, по



объектам и причинам пожаров, их распределение по дням недели, часам суток и т. д., что существенно облегчает анализ пожарной обстановки в республике. Введение только задач статистики позволило управлению отказаться от ведения шести учетных журналов и высвободить двух сотрудников, в несколько раз повысить скорость обработки поступающей информации.

Одной из главных задач центра является разрабатываемая программа под названием «Выезд». Представим себе, что на ЦППС поступило сообщение о пожаре в каком-либо районе или на объекте Тбилиси. Перед оператором на экране дисплея высвечивается карта данного района или объекта, подъездные пути к нему, план объекта, благодаря чему найти нужную улицу и разработать рациональный маршрут движения можно за 30—40 секунд, вместо прежних 5—6 минут. К тому же оператор, поддерживая постоянную связь с водителями выехавшей на пожар техники, ведет их по маршруту, подсказывает им кратчайший путь к месту пожара, информацию о том, где на объекте расположены гидранты, другие данные, позволяющие более оперативно и эффективно использовать задействованные силы и средства.

Для внедрения этой программы сейчас под руководством начальника отдела пожарной охраны УВД Тбилгорисполкома полковника в/с К. Хоргуашвили и инженера центра старшего лейтенанта в/с В. Байдашвили идет активный сбор информации о всех объектах г. Тбилиси, включая жилой сектор, отрабатывается механизм расписания выезда пожарной техники применительно для вычислительной техники, формируется карта г. Тбилиси, которая будет введена в ЭВМ.

Дальнейшее развитие деятельности центра предусматривает прежде всего автоматизацию диспетчерской службы, пункта пожарной связи, что включает в себя не только доукомплектование вычислительной техникой, но и модернизацию всей системы связи пожарной охраны. В ближайшей перспективе — отработка задач подразделений службы финансово-планового органа, строевого отделения и др. В будущем предусматривается охватить автоматизированной сетью все пожарные части г. Тбилиси, а также создать аналогичные центры в городах Кутаиси, Сухуми, Батуми и Рустави.

**А. ЦАТУРОВ.**

# БЛАГОДАРЯ ОПЕРАТИВНЫМ ДЕЙСТВИЯМ

## БЫЛА РАЗОБЛАЧЕНА ЕЩЕ ОДНА РАЗБОЙНАЯ ГРУППА, ЗАНИМАЮЩАЯСЯ УГОНОМ ТАКСИ

**Своевременный обмен оперативной информацией между райотделами милиции оказывает существенную помощь в раскрытии преступлений, происходящих в различных уголках нашей республики и схожих по обстоятельствам их совершения. Примером тому может служить раскрытое недавно сотрудниками Гардабанского РОВД дело об угонах автомобилей.**

**НЕДАВНО** поздно вечером в Заводской РОВД обратился водитель такси из АТП-6, который рассказал, что когда он выезжал из гаража в районе поселка «Грузсельмаш», к нему в машину подсели двое неизвестных парней. Расположившись один сзади, а другой рядом с водителем, попросили его довезти их до села Марткопи. Не доезжая до села, они, угрожая огнестрельным и холодным оружием, потребовали дневную выручку, но, не ограничившись этим, угнали и автомобиль.

— Аналогичные факты были зарегистрированы и у нас в райотделе, — рассказывает начальник отделения УР Гардабанского РОВД майор милиции В. Тевзадзе. — Нам были известны 3 факта угона такси с аналогичными действиями преступников, именно в районе сел Марткопи и Гамарджвеба. По этим фактам уже работала созданная в райотделе оперативная группа, возглавляемая и. о. начальника РОВД подполковником милиции Г. Петриашвили, в которую вошли: начальник 1 отделения Гардабанского РОВД майор милиции Ф. Кенкебашвили, начальник ОУР майор милиции В. Тевзадзе, оперуполномоченные УР подполковник милиции Д. Ошакмашвили, капитан милиции З. Нинашвили и лейтенант милиции Д. Асатиани.

— Сопоставив имевшиеся и вновь полученные оперативные данные из Заводского РОВД, мы пришли к выводу, — продолжает заместитель начальника Гардабанского РОВД по политчасти капитан милиции Т. Миротадзе, — что это дело одних рук.

Сотрудниками оперативной группы было установлено, что угонщики пригоняли автомашины (в основном такси) к ремонтеру управления механизации «Грузэнерго» Сергею А., с которым они были в сговоре. Угнанные машины Сергей А. разбирал на запчасти и реализовывал их, отдавая долю с полученной выручки похитителям.

Так планировали угонщики и во время последней операции. Угнав такси, они продали его Сергею А., получив 2 тысячи рублей, решили отметить это событие в павильоне у въезда в поселок «Грузсельмаш», где и были задержаны оперативной группой.

Задержанными оказались жители г. Тбилиси братья Александр и Андрей А. В тот же день был установлен и задержан и посредник угонщиков Сергей А. в момент разбора похищенного такси.

А главарь шайки Роланд К., бежавший из мест лишения свободы и находившийся в розыске, был задержан в городе Спитаке Армянской ССР.

Так благодаря оперативным действиям и своевременному обмену необходимыми сведениями между райотделами, сотрудниками Гардабанского РОВД была разоблачена еще одна разбойная группа, которая скоро предстанет перед судом.

А. МАЛАЯНЦ.

**არასრულწლოვანი, მოზარდი, ჩვენი მომავალი. რამდენ საფიქრალსა და საზრუნავს უჩენს თითოეული ეს სიტყვა ადამიანს, მშობელს, ნათესავს. დღეს საზოგადოება გაოგნებულია, ყოველდღე ახალ-ახალი დანაშაული თუ მისი მცდელობა ზღვასავით აღელვებს და აზვირთებს ვნებებს, რა ხდება? რას ერჩიან ეს ბავშვები ერთმანეთს, სხვებს? ვესაუბრებით საქართველოს შს სამინისტროს პროფილაქტიკის სამმართველოს, არასრულწლოვანთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევის პროფილაქტიკის განყოფილების უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკ გ. ქობულაშვილს.**

# არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ასაცილებლად

**— ბატონო გივი, საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას და გულისტკივილს იწვევს, არასრულწლოვანთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მკვეთრი ზრდა. თქვენი აზრით რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთი „აღმავლის" გამომწვევ მიზეზად?**

— როგორც ცნობილია რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების დესტაბილიზაცია, ზოგიერთ შემთხვევაში გაუარესებაც კი, დამოკიდებულია მის გამომწვევ რამოდენიმე მიზეზზე. ეს არის ბოლო დროს რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები. დასამალი არ არის და მთელი პირადი შემადგენლობა უმეტეს წილად მობილიზებული იყო ამ მოვლენების სფეროში, რამაც თავისი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ოპერატიულ მდგომარეობაზე. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისიც გვევლინება, რომ ამ პერიოდში საგრძნობლად შესუსტდა ადგილებზე შს ორგანოების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მუშაობა ისეთ საშიშ საზოგადოებრივ გამოვლინებასთან, როგორიცაა არასრულწლოვანთა ჯგუფური დანაშაულის თავიდან აცილება.

ამ პრობლემის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზად რჩება ოჯახი. მიმდინარე პერიოდში ფართო მუშაობა იყო გაჩაღებული აღრიცხვაზე მყოფ მშობლებთან, რომელთაც დაუკარგავთ თავიანთი სახე და პირველად მოვალეობად ალკოჰოლი და მსუბუქი ყოფაქცევა გაუხდიათ. მსგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა ბორჯომში, სადაც პირადი ქონების ქურდობისათვის დაკავებული იყვნენ ბორჯომის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლეები ვ. გურგენიძე და გ. ყველაიშვილი. ყველაიშვილის მამა იხდის სასჯელს. დედა გათხოვდა და შვილზე ნაკლებ მზრუნველობას იჩენდა. აქ იგნორირების ერთ ფაქტორს ემატება მეორე ჩვენი თანამშრომლების მხრიდან, რომელთაც სათანადო ზომები არ მიიღეს აეცილებინათ ეს მორიგი დანაშაული. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბორჯომის შს რაიგანყოფილების ინსპექციის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი დ. ზაზიკაშვილი მკაცრად გააფრთხილეს, ამდაგვარი ფაქტების ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანდა.

**— ნათქვამია, ქალალდი ყველაფერს აიტანსო. სტატისტიკა შემაძრწუნებელია. რა კონკრეტული ღონისძიებები ტარდება და რა შეიძლება გატარდეს, რათა არასრულწლოვანთა შორის დანაშაული მაქსიმალურად მოკლე დროში შემცირდეს?**

— როგორც მოგეხსენებათ ჩვენი სამსახური შეიძლება ითქვას ახალია, იმ კუთხით, რომ თუ ადრე არსებობდა არასრულწლოვანების ინსპექცია და ვიწრო პროფილით — მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებით იყო დაკავებული. ეხლა ჩვენი განყოფილება შედის ახლად ჩამოყალიბებულ პროფილაქტიკის სამმართველოში და მისი მოქმედების არეალსაც შესაბამისად სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევის პროფილაქტიკაც დაემატა. ალბათ ჯერ შედეგებზე საუბარი უდროო იქნება, მაგრამ დაწყებული სამუშაო გვიჩვენებს, გეზი სწორადაა აღებული და ის დადებითი ძვრები, რომლებსაც საზოგადოება და ჩვენ ყველა ერთად ველით, შორს არ არის. ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩატარებულ იქნა რეიდები ბაკურიანში, გუდაურში, აფხაზეთში, თბილისში და სხვა რაიონებში. ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და ასობით დანა, დანაშაულობისათვის განკუთვნილი სხვა ცივი იარაღი. ყოველი ეს ამოღებული იარაღი თავიდან აცილებული ახალი დანაშაულია. ზაფხულის არდადეგების პერიოდში შს სამინისტრომ კოჯრის პიონერთა ბანაკში უფასოდ დაასვენა 100 ძნელად აღსაზრდელი. ვფიქრობ, რომ ასეთი ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება, რასაც უეჭველად დადებითი შედეგი მოჰყვება.

**— ბატონო გივი, 1989 წელს შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მიერ რეგისტრირებულია არასრულწლოვანთა 605 დანაშაული. რა სახის დანაშაულობების ზრდა და რისი კლება შეინიშნება ამ პერიოდში?**

— 1988 წელთან შედარებით, რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა ხაზით აღინიშნება დანაშაულობათა ზრდა 24,2(!) პროცენტით. ანალიზმა გვიჩვენა, რომ კლება აღინიშნება ისეთი სახის დანაშაულებში, როგორიცაა გაუფრთხილებლობით მკვლელობა, გაუპატიურების მცდელობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, ნარკომანია და ქურდობა. სამწუხაროდ ზრდა აღინიშნება ისეთ მძიმე დანაშაულობებში, როგორიც არის განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, ავტოტრანსპორტის გატაცება. მომხდარ დანაშაულობებში მხილებულია 637 მოზარდი. რაც 13,5(!) პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. ეს რა თქმა უნდა შემაშფოთებელი სტატისტიკაა.

**— რომელ რაიონებს დაასახელებდით, სადაც ადგილი ჰქონდა დანაშაულობის ზრდას?**

— მოზარდთა შორის დანაშაულის ზრდას ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის 42 ქალაქსა და რეგიონში. თუ კვლავ სტატისტიკას მოვიშველიებთ, სურათი ასეთი იქნება: თბილისი 32, რუსთავი 23, ქუთაისი 16, გაგრა 8, მაიაკოვსკი — ბოლნისი 6-6, გურჯაანი, ქარელი, ამბროლაური, მცხეთა — 3. ამასთან ერთად ოპერატიული ვითარების გაუმჯობესება აღინიშნებოდა 18 ქალაქსა და რაიონში. საერთოდ არ მომხდარა დანაშაული 12-ში. გარკვეული საქმიანობა გაწეულია, მაგრამ არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილება და ყურადღების მოდუნება ისეთ საპასუხისმგებლო და საჭირბოროტო საქმეში, რასაც არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის აღკვეთა, მათი საზოგადოებისათვის შენარჩუნება ჰქვია.

ესაუბრა ზ. ქუთათელაძე.

# БУДНИ МИЛИЦИИ







◆ **ОДНИМ** из лучших оперативных работников Сагареджойского РОВД является оперуполномоченный УР капитан милиции Зураб Барбакадзе, который недавно награжден медалью «За безупречную службу» II степени.

◆ **БОЛЕЕ 15** лет работает на занимаемой должности начальник паспортной службы Сагареджойского РОВД, секретарь первичной парторганизации капитан милиции Гиви Хуцишвили. Активно помогает ему паспортистка Ц. Теднашвили.

◆ **ПРИ ВЪЕЗДЕ** в город Сухуми у КПП Агдзара службу несет наряд подразделения внутренних войск: старшина милиции В. Микаэлян, рядовые милиции В. Соколов и В. Кравченко.

Фото Г. ГУРАМИШВИЛИ.

სწრაფად, ოპერატიულად

# თავდასხმა

**გვიანი** ღამეა. ოჯახის დიასახლისი ჯერაც ფუსფუსშია. თავკაცის მოლოდინში დრო ნელა გადის. უეცრად რაღაც უცნაური ხმაური და... ორი ნიღბიანი ახალგაზრდა თავს დაადგა გ. გაბედავას ოჯახს. დიასახლისი შეაკრთო შეიარაღებული ახალგაზრდების დანახვამ. მათი განზრახვა აშკარა იყო.

წამიერი გარინდება. თავდამსხმელები ან არავის არ მოელოდნენ, ან ქალისგან ხელის შეშლა გამორიცხეს, თუმცა ნახევრად თავგზააბნეულმა ქ. ჩიჩუამ მათ წინააღმდეგობა გაუწია. ბოროტმოქმედებმა არც დააყოვნეს და გაისმა გასროლის ხმა ზღურბლის მიმართულებით და სასწრაფოდ მიიმალნენ. საბედნიეროდ ქალბატონი არ დაშავებულა. როგორც იქნა გამოერკვა ქ. ჩიჩუა და მოახერხა ზუგდიდის საქალაქო შს განყოფილებაში დარეკვა.

სასწრაფოდ იქმნება ოპერატიული ჯგუფი, ქალაქის შს განყოფილების უფროსის მოადგილის, მილიციის მაიორის რ. ბერიშვილის მეთაურობით. მის შემადგენლობაში არიან სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი რ. გოგენია, სოცსაკუთრების, დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორები: მ. გაბუნია, ა. ქვანია, მილიციის კაპიტანი რ. რაფავა, მილიციის ლეიტენანტი დ. ქირია. შემთხვევის ადგილზე დაფიქსირდა ყოველი წვრილმანი. ოპერატიულად შემოწმდა სახლის მიმდებარე ტერიტორია და აღებულმა გეზმა ოპერატიული ჯგუფი სწორ კვალზე დააყენა, დამნაშავეები 40 წუთში დააკავეს.

გვიჭირს მათზე წერა. გვიჭირს განა იმიტომ, რომ შეწყალებას იმსახურებენ არა, უბრალოდ ძნელია როცა სრულიად ახალგაზრდა პირველად ჩადის დანაშაულს. თანაც დამამძიმებელს. შ. წ. — უცოლშვილო, დაბადებული 1966 წელს, ადრე ნასამართლეობის არმქონე, დროებით უმუშევარი; ზ. გ. უცოლშვილო, დაბადებული 1969 წელს, ადრე ნასამართლეობის არმქონე, ზუგდიდის რკინაბეტონის ქარხნის მუშა. ამ ორ ახალგაზრდას დაკავების დროს აღმოაჩნდათ ცივი და საბრძოლო იარაღი, ნიღბები, თანაც მათი ბოროტული ქმედების არაერთ ფაქტს აეხადა ფარდა. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მართალია სამართალი საკადრისს მიუზღავს მათ, მაგრამ რა უყოთ, რითი განვკურნოთ მათი დამახინჯებული სული, რითი გავამრთელოთ ასე ნაადრევად გამრუდებული გზა. ეს არის ალბათ ყველაზე დიდი საფიქრალი, რაც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება არაერთ ოჯახს, მშობელს და გნებავთ საზოგადოებასაც.

მ. ლიბრაძე

Факт...

# ПОБЕГ ИЗ ТЮРЬМЫ — СЛУЧАЙНОСТЬ?

**9 марта, в начале третьего ночи, из следственного изолятора города Зугдиди сбежали 17 человек. Как сообщили нашему собственному корреспонденту Б. УРИГАШВИЛИ в политотделе МВД Грузии, началось служебное расследование обстоятельств побега.**

По предварительным данным, вырисовывается следующая картина. Заключенные в камере инсценировали драку, а затем стали требовать оказать медицинскую помощь одному из них. Заманив таким способом охранников в камеру, связали их и заперли. (Правда, непонятно: почему контролеров никто не страховал в коридоре? Ведь это положено по инструкции...).

Министр внутренних дел заявил в республиканской прессе: уже сейчас можно утверждать — произошедшее — либо вопиющее ротозейство, либо предательство.

Уточним: это не первый побег из следственного изолятора Зугдиди. Прошлым летом, в самый разгар событий в Абхазии, отсюда бежало более ста (!) заключенных. В том числе и те, кто содержался по подозрению в убийстве. Двоим из сбежавших тогда удалось добраться до своего родного селения и убить там офицера милиции. Как выяснилось, из мести. 12 человек по сей день числятся в бегах...

Интересно, что и тогда, и теперь начальник Зугдидского СИЗО — Ленго Берия. После летнего ЧП ему был объявлен строгий выговор, но должность свою офицер сохранил. Руководство МВД объяснило это тем, что он — опытный работник.

По словам министра, после летнего побега были предприняты меры по техническому дооснащению изолятора, заменены многие сотрудники этого учреждения. Теперь ясно — причины случившегося коренятся глубже.

Добавлю: двое из сбежавших пойманы и возвращены в следственный изолятор. Остальные 15 — пока на свободе...

(Газета «Известия» от 19 марта 1990 года).

**ОТ РЕДАКЦИИ ГАЗЕТЫ «БОЕВОЙ СТРАЖ». В приведенном выше материале говорится, что это не первый побег из Зугдидского СИЗО. Мы же со своей стороны отметим, что побеги были и из других изоляторов и не только в последнем случае подозревалось предательство со стороны сотрудников (как это говорится в материале).**

**Редакция нашей газеты уже неоднократно пыталась разобраться в проблемах УИД МВД ГССР, разумеется, в пределах журналистской компетенции, но неоднократные попытки нашего корреспондента получить соответствующую информацию от руководства управления, в частности, по факту побега из учреждения, где начальником М. Кварацхелия, остались безрезультатными. В то же время, как нам известно, служебное расследование по данному факту завершено, приняты соответствующие меры реагирования. Однако вся эта информация для редакции и ее читателей остается «тайной за семью замками».**

# ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

**ჩვენი** გაზეთის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „რა გვიჩვენა რეიდის რეიდმა" ლაპარაკი იყო მილიციის მუშაკთა უხეშობაზე. რედაქციამ მიიღო გამოხმაურება ალნიშნულ წერილზე. ქ. თბილისის ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ვ. როგავა გვწერს:

**სტატიაში მოყვანილ ფაქტებზე გაცნობებთ, რომ წერილში დასახელებული მილიციის თანამშრომლები (მაღრაძე და მისი ამხანაგი) არიან საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის მილიციელები და არა ავტოინსპექტორები.**

**ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ როგორც საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორების ისე საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელების მხრიდან სამწუხაროდ ჯერ კიდევ ადგილი აქვს თავიანთი მოვალეობის დაბალ დონეზე შესრულების, უხეშობის, უტაქტობის ფაქტებს.**

**ასეთი ფაქტების გამოსავლენად ჩვენს მიერ სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. ყველა გამოვლენილი დარღვევის ფაქტზე ვახდენთ მკაცრ რეაგირებას, ვაანალიზებთ პირად შემადგენლობასთან, ვიბრძვით კადრების შერჩევასა და მათი პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის.**

**საგზაო-საპატრულო სამსახურის და საერთოდ მთლიანად მილიციის საქმიანობის სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მათი საქმიანობის სწორ და ობიექტურ გაშუქებას. ამიტომ კარგი იქნება თუ შემდგომში რედაქციის თანამშრომლები ანალოგიურ ღონისძიებებს ჩაატარებენ სახავტოინსპექციის ხელმძღვანელებთან ერთად.**

თბილისის შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი მ. ბუხრიკიძე გვწერს:

**თქვენი გაზეთის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „რა გვიჩვენა რეიდის რეიდმა" აღნიშნული იყო, რომ რედაქციის მიერ ჩატარებული რეიდის დროს ავტოინსპექტორმა მაღრაძემ სადგურის მოედანზე რედაქციის თანამშრომლისადმი გამოიჩინა უტაქტო დამოკიდებულება.**

**როგორც შემოწმებით გამოირკვა სტატიაში მოყვანილი მაღრაძის ნაცვლად აღმოჩნდა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის მილიციელი, მილიციის სერჟანტი ა. ლაგრაძე რომელიც იმ დღეს მონაწილეობდა თბილისის შს სამმართველოს მიერ ჩატარებულ რეიდში. სტატიაში აღნიშნული ფაქტები განხილული იქნა საერთო კრებაზე, სადაც პრინციპული შეფასება მიეცა ა. ლაგრაძის მოქმედებას და მკაცრად იქნა გაფრთხილებული, ხოლო მსგავსი შემთხვევის განმეორებისათვის მის მიმართ გატარებული იქნება უმკაცრესი ზომები.**

## შესწორება

**ჩვენი** გაზეთის 3 მარტის ნომრის (№ 10) მასალაში „ვინ იცავს ქალაქში წესრიგს" შეცდომითაა ნახსენები გვარი ნ. ხუბულია, უნდა იყოს ნ. ხურცია.

ასევე მასალის (17 მარტის ნომერში) — „გარკვეული მუშაობა გატარდა, მაგრამ..." მინაწერი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: საქართველოს სსრ შსს სახავტოინსპექციის უფროსს მილიციის პოლკოვნიკ გ. ცინცაძეს ესაუბრა კ. ანდრიაძე.

СПОРТ ◆◆◆◆◆◆ სპორტი ◆◆◆◆◆◆ СПОРТ ◆◆◆◆◆◆ სპორტი

# კარა-ტე ნამდვილ ვაჟკაცთა სპორტია

**1990 წელი** ქართული კარა-ტეს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ჯერ იყო და თებერვლის თვეში საქართველოს კარა-ტეს ფედერაცია იტკფ-ის (ევროპის კარა-ტეს ფედერაციის) წევრი გახდა, სულ ახლახანს კი იტკფ-ის რეკომენდაციით საქართველოს ნაკრები მიწვეული იყო საერთაშორისო კარა-ტეს ფედერაციის (ვუკო-ს) კონგრესზე, სადაც იგი სრულუფლებიან — წევრად მიიღეს და ნება დართეს მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართა.

კარა-ტეს პოპულარიზაცია ჩვენში 70-იანი წლებიდან დაიწყო. ქართულმა სპორტმა ამ აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობას მყისვე აუბა მხარი, გვქონდა გარკვეული მიღწევები. მოქმედებდა სისტემური, მაღალპროფესიული საწვრთნელი ჯგუფები. 1982 წელს ტალინში გამართულ სსრკ ჩემპიონატზე პირველმა ქართველმა სპორტსმენმა გ. ბაკურაძემ მოიპოვა ასე ნანატრი და იმედის მომცემი ოქროს მედალი...

იმედები იმედებად დარჩა — 1983 წელს კარა-ტე ოფიციალურად აიკრძალა; უფრო მეტიც მის სწავლებას კანონი მკაცრად კრძალავდა და სჯიდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ხალხმრავლობა იყო 17-18 მარტს სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის" შენობაში, სადაც მიმდინარეობდა ქალაქის პირველობა. აქ თავი მოიყარეს კარა-ტეს მოყვარულებმა, მათ ვინც ქართულ კარა-ტეს დასაბამიდან სათავეში ედგნენ და გაჭირვების ჟამსაც არ უღალატიათ საყვარელი სახეობისათვის. შეჯიბრების ინიციატორი იყო თბილისის ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია. შეჯიბრება სანახაობრივად ძალზე საინტერესო გამოდგა. მონაწილეობას იღებდა 100-ზე მეტი სპორტსმენი, რომლებიც გამოდიოდნენ რვა წონით კატეგორიაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. თოთიბაძე (60 კგ), ჯ. ტაყდანოვი (65 კგ), კ. შარტავა (70 კგ), გ. ჯავახია (75 კგ), გ. ჰელიძე (80 კგ), მ. ხვედელიანი (85 კგ), დ. მოდებაძე (85 კგ-ს ზევით) და ზ. ქერაშვილი (აბსოლუტური). შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ქ. თბილისის ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის თავმჯდომარე დ. თევზაძე.

შეჯიბრება გენერალური რეპეტიცია იყო რესპუბლიკის პირველობისა, რომელიც 30 მარტს გაიმართება სპორტის სასახლეში.

ს. ალავიძე.

—ПЕРЕДОВОЙ ОПЫТ—

# БОЛЬШЕ ВНИМАНИЯ ПОДРОСТКОВОМУ СПОРТУ

**За последние годы министерством внутренних дел республики накоплен положительный опыт организации и проведения спортивно-массовых мероприятий клубных формирований по месту жительства подростков и в коллективах физической культуры органов внутренних дел.**

**Об опыте работы районного совета «Динамо» УВД Тбилгорисполкома по физкультурно-спортивной работе с детьми и подростками по месту жительства рассказывает заместитель начальника отдела физподготовки и оргмассовой работы Грузсовета «Динамо» подполковник милиции А. Смирницкий.**

**ФИЗИЧЕСКАЯ** культура и массовый спорт как средство гармонического развития личности всемерно проникают в жизнь людей. Привлечение к этому движению особенно молодежи способствует укреплению здоровья, физическому совершенствованию, повышению общественной активности. Все это благотворно воздействует на трудовую деятельность, учебу, взаимоотношения в учебных заведениях и в кругу семьи.

За последние годы Управлением внутренних дел Тбилгорисполкома накоплен положительный опыт организации и проведения спортивно-массовых мероприятий по месту жительства в клубных формированиях для подростков и коллективах физической культуры УВД.

Наиболее интересной формой вовлечения молодежи, родителей и педагогов в массовый спорт являются спортивные праздники под девизом «Веселые старты», «Семейные соревнования», «Папа, мама, я — спортивная семья».

В этом деле с успехом используется опыт энергичного энтузиаста по работе с молодежью, непосредственного организатора массовых стартов старшего инспектора-методиста по физподготовке и спорту органов внутренних дел майора милиции Т. Лакия.

Районный совет «Динамо» дополнительно взял шефство над шестью общеобразовательными школами, детским домом № 1, школами-интернатами для слабослышащих и глухих детей отдела народного образования г. Тбилиси, тремя инспекциями по делам несовершеннолетних, где заметно оживилась физкультурно-массовая и спортивная работа.

Всего же с учетом подростковых клубов имени прославленного олимпийца В. Санеева, заслуженных мастеров спорта СССР Б. Пайчадзе, Г. Чохели, мастера спорта Э. Каркусашвили физической культурой и спортом, в секциях по интересам занимается более 1000 детей и подростков, включая членов клуба районного совета, дислоцированного в Ленинском районе г. Тбилиси.

Отвечая делом на заботу о детях — инвалидах с детства, на базе Тбилисского интерната были проведены в прошлом году спортивные соревнования «Веселые старты». Соперники встретились по доступным им видам спорта. С учетом специфики и физической подготовки со-



ревнования прошли при активной помощи преподавателей и специалистов из интернатов.

Большой спортивный праздник был организован для воспитанников детского дома № 1, которых приняли на лучшей спортивной базе Государственного технического университета учащиеся 152 средней школы г. Тбилиси.

Только за истекший год и начало текущего было проведено 5 подобных мероприятий.

Для более торжественного оформления соревнований была достигнута договоренность с детскими хореографическими танцевальными коллективами художественной самодеятельности «Анси», «Тела» и «Аэробика». На соревнования приглашались сборные молодежные команды Грузинской ССР и СКА по художественной гимнастике, что со своей стороны придавало спортивным состязаниям праздничный характер.

Как же строится эта работа в районном совете «Динамо» УВД Тбилгорисполкома?

Для обеспечения соревнований квалифицированным жюри в его состав подключаются ветераны — динамовцы, прославленные спортсмены, такие как трехкратный чемпион Олимпийских игр, серебряный призер Московской олимпиады В. Санеев, неоднократный чемпион мира и Олимпийских игр Л. Тедиашвили, чемпионка мира по шахматам М. Чибурданидзе, заслуженные мастера спорта СССР Б. Пайчадзе, Г. Гагуа.

Все проведенные мероприятия освещаются систематически средствами массовой информации, в том числе и республиканским телевидением.

В настоящее время районный совет «Динамо» УВД Тбилгорисполкома разрабатывает еще одну интересную форму вовлечения детей и подростков в систематические занятия физической культурой — проведение Спартакиады г. Тбилиси среди инспекций по делам несовершеннолетних по более обновленной программе.

Записал
А. МАЛАЦИДЗЕ.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 09347